# საქართველოს რესპუბლიკა



> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 24 აგვისტო, 2012 წელი.

№162 (7038)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ქართველთა ცხოვრების წიგნი სამუდამოდ რომ არ დაიხუროს!



4

## SOS!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა, როგორც 2025 ისე 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად შემცირდება. კერძოდ, სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით გაიზრდება, აზერბაიჯანისა – 37 პროცენტით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. ეს პროცესი კარგა ხანია, დაწყებულია, რაც განპირობებულია შობადობის დონის შემცირების, მოკვდაობის დონის გაზრდისა და გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოთი.

## ბიძინა ივანიშვილის მიმართ იძულებითი აღსრულების პროცესი დაიწყო

კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის გადახდის ვადა ამოეწურა. როგორც „ინტერპრესნიუსს" აღსრულების ეროვნულ ბიუროში განუცხადეს , კანონმდებლობის შესაბამისად, ივანიშვილის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების პროცესი დაიწყო.

— საწყის ეტაპზე მოხდება ივანიშვილის ქონების მოძიება, მისი შეფასება და ამის შემდეგ გადაწყდება აღსრულების რომელ ფორმას მივმართავთ, — განმარტეს უწყებაში.

აღსანიშნავია, რომ იძულებითი აღსრულების პროცესი გუშინწინ უკვე დაიწყო კახი კალაძესთან მიმართებაში, რომელსაც დაკისრებული ჯარიმის ვადა, რომელიც 17 მილიონამდე ლარს შეადგენს, გადახდის 7-დღიანი ვადა 21 აგვისტოს ამოეწურა.

## სტუდენტებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან მდუმარე აქცია გამართეს

სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის წევრებმა პრეზიდენტის რეზიდენციასთან მდუმარე აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეებს ჰქონდათ ლოზუნგები: „არ ვიყიდებით", „ვერ მოისყიდით სტუდენტებს". სტუდენტებმა საზაფხულო დასაქმების პროგრამა გააპროტესტეს, რადგან მიიჩნევენ, რომ პროგრამა წინასაარჩევნოდ ხმების მოსაზიდად შეიქმნა და ეს ანაკლიაში პრეზიდენტის სტუდენტებთან შეხვედრამაც დაადასტურა.



— Summer Job-ი იყო „ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანია და ეს ანაკლიაში პრეზიდენტის სტუდენტებთან შეხვედრამ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა. სტუდენტები თავად განსაზღვრავენ, რა პოლიტიკური პლატფორმა უნდა ჰქონდეთ. ჩვენ არ გვჭირდება არავის დირექტივა, თუ ვის მივცეთ ხმა, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის წევრმა, ტექნიკური უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტმა ალექსანდრე კობაიძემ.

მან ასევე დასძინა, რომ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი 24 აგვისტოს აქციას გამართავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სამსახურიდან გათავისუფლებულ პროფესორ-მასწავლებლებს მხარს დაუჭერენ. სტუდენტები აცხადებენ, რომ პოლიტიკური ნიშნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 25-მდე პროფესორ-მასწავლებელია გათავისუფლებული.

ინტერპრესი

## ლენინიზმის მიმდევარი ნაციონალები

3

## ედუარდ შევარდნაძე: საინტერესოა, ნუთუ სააკაშვილი ახლაც ფიქრობს, რომ ომში გაიმარჯვა?



2

## კნუტ ვოლებეკი: ქართული სოფლების დანგრევა საერთაშორისო სამართლის დანაშაულია



ეუთოს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებეკი საქართველოს სეპარატისტული რეგიონის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მოუწოდებს , ქართულ სოფლებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე განმარტებები გააკეთოს.

ვოლებეკის შესაბამისი განცხადება ეუთოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ასეთი გეგმები, შესრულების შემთხვევაში, იმ ეთნიკურად ქართული სოფლების მცირე ნაწილსაც გაანადგურებს, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემორჩა. სახლები, რომლებიც ამ სოფლებში დგას, სოფლის მცხოვრებლებს ეკუთვნით და არ უნდა დაინგრეს. საერთაშორისო სამართლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება აქვთ და მათ საკუთრებას პატივი უნდა სცენ, — აცხადებს ვოლებეკი.

უმაღლესი კომისარი დე ფაქტო მთავრობისგან ქართულ სოფლებთან დაკავშირებულ განზრახვებზე კონკრეტულ განმარტებას ითხოვს.

მისივე თქმით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს რეპრესიებს სამოქალაქო პირებისა და მათი საკუთრების წინააღმდეგ; ქართული სოფლების დანგრევა, თუ ეს განხორციელდა, საერთაშორისო სამართლის დანაშაულია.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე საკუთარ სახლებში ძალიან ცოტა ეთნიკური ქართველი დაბრუნდა, რადგან უსაფრთხოების მხრივ ვითარება რთულია; უმაღლესი კომისარი დიდი ხნის განმავლობაში შეშფოთებული იყო იმ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მდგომარეობით, რომელიც ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა.

კნუტ ვოლებეკი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ეწვევა ცხინვალს, რათა იქ არსებულ ვითარებას გაეცნოს და შექმნილი მდგომარეობა რეგიონის დე ფაქტო ლიდერებთან განიხილოს.

ინტერპრესი

EuroBasket SLOVENIA 2013

## ბოსნია უკვე წარსულია, წინ ლატვიაა

7

„იზვესტიიდან“

# ედუარდ შევარდნაძე: საინტერესოა, ნუთუ სააკაშვილი ახლაც ფიქრობს, რომ ომში გაიმარჯვა?

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ცხინვალის მიმდებარედ განლაგებული იმ 8 ქართული სოფლის საბოლოოდ განადგურების გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ქართულმა მოსახლეობამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დატოვა. სოფლებს არც სახელწოდებები შეუნარჩუნდებათ, მათ ადგილზე კი ინდუსტრიული ზონა გაშენდება.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით, „Известия“ საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ესაუბრა.**



**— რა უნდა გააკეთოს საქართველომ?**

— თუ თიბილოვმა ასეთი ბარბაროსობა ჩაიფიქრა, ეს ჩვენთვის დიდი გამოცდაა. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ აღვკვეთოთ ამ 8 სოფლის დანგრევა. მათ გადასარჩენად აუცილებელია რუსეთთან გადაუდებელი დიალოგი. საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ საერთაშორისო ორგანიზაციები და მე როგორც რიგითი ქართველი, პირადად მივმართავ მათ, რომ ქართული სოფლების განადგურება არ დაუშვან.

**— არ თვლით, რომ თიბილოვმა ეს საკითხი მოსკოვთან შეათანხმა?**

— არ ვფიქრობ, რომ მას ასეთი ინიციატივისკენ რუსულმა მხარემ უბიძგა. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ რუსეთი მსგავს სისასტიკეს არ დაუშვებს. სხვაგვარად ეს იქნება ტრაგედია, რომელზეც პასუხისმგებლობა ნაწილობრივ თბილისსაც დაეკისრება. ის თუ დღეს ე.წ. დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთი არსებობს, ამაში 2008 წლის არასწორი პოლიტიკის გამო საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დიდი დამსახურებაა. სააკაშვილმა საკუთარი გადადგომის ფასადაც არ უნდა დაუშვას ამ სოფლების დანგრევა. მას რომ საკუთარი ქვეყანა უყვარდეს, სწორედ ასე მოიქცეოდა. საინტერესოა, ნუთუ პრეზიდენტი ახლაც ფიქრობს, რომ ომში გაიმარჯვა?

**— 2006 წელს ამ სოფლებში თბილისმა მის მიერ კონტროლირებადი „დროებითი ადმინისტრაცია“ შექმნა. უკვე მაშინ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება თავისი დედაქალაქის სიახლოვეს ასეთი „ანკლავის“ გამო უკმაყოფილო იყო....**



— ამ ადმინისტრაციასთან დაკავშირებით კომენტარისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი, თუმცა, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ აგვისტოს ომის შედეგებმა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ასეთი სტრუქტურის შექმნის გადაწყვეტილების აბსურდულობა დაადასტურა.

**— ბოლო პერიოდში საქართველო-ოსეთის საზღვარზე, სოფელ ერგნეთში ბაზრობის აღდგენის შესაძლებლობა განიხილება, რომელიც 1989-1992 წლების პირველი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ არსებობდა. თქვენმა შემცვლელმა ხელისუფლებამ იგი კონტრაბანდასთან ბრძოლის საბაბით გააუქმა.**

— ამ ბაზრობის ფუნქციონირებაში არსებული ბევრი უარყოფითი ასპექტის მიუხედავად, მისი გაუქმება ჩვენი ხელისუფლების დანაშაულებრივი გადაწყვეტილება იყო. მის აღდგენას მე მხოლოდ მივესალმებოდი, თუ საქართველოს ხელისუფლება ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. რა თქმა უნდა, ეს ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების ეტაპობრივ გამყარებას შეუწყობდა ხელს.

**მაკა ბრეგვაძე,**
**„პირველი“**

„სიახლე“

# ბეჭდის „ჩაბეჭდვას“ რა უნდა!



## ანუ გაყალბების კიდევ ერთი მეთოდი

**ნაციონალები არჩევნების გაყალბების ისეთ მეთოდებზე მუშაობენ, რაც აქამდე არ გამოუყენებიათ. ამის შესახებ მათთან დაახლოებული პირები საუბრობენ და ეს არც არის გასაკვირი, რადგან უკვე ცნობილია, რომ ამ არჩევნებისთვის „ქართული ოცნება“ ხალხს ამზადებს რომ ისინი უბნებს კვალიფიციურად დააკვირდებიან.**

ყურადღება კი, რა თქმა უნდა, ისეთ მეთოდებზე გამახვილდება, რომელთაც ხელისუფლება აქამდე აქტიურად იყენებდა. ამიტომაც, დიდია ალბათობა, რომ ხელისუფლებამ არჩევნების ძველი მეთოდებით გაყალბება ველარ შეძლოს.

არადა, სახელისუფლებო კულუარებში უკვე იმაზეც საუბრობენ, რომ სააკაშვილი ამ არჩევნების ისეთი შედეგებით „მოგებას“ ითხოვს, რაც აქამდე არ დაფიქსირებულა. როგორც ამბობენ, „ქართული ოცნების“ მიერ რუსთავში გამართული აქციის შემდეგ, პრეზიდენტმა მოითხოვა, რომ „ნაციონალებმა“ 75%-ზე ნაკლები არ უნდა აიღონ. თუ არადა, თითოეულ მაჟორიტაროზის კანდიდატს მოუწევს პირადად სააკაშვილისთვის პასუხის გაცემა.

ამ შედეგისთვის კი, ცხადია, მმართველ პარტიას არჩევნების გაყალბება დასჭირდება. გაყალბებაში კი საბოლოოდ ხმების ჩაყრა იგულისხმება და ეს რა მეთოდებით მოხდება, უკვე სხვა საკითხია.

ამ მეთოდებზე for.ge-ს არაერთი სტატია აქვს დაწერილი. აქ შედის „საარჩევნო კოდექსის“ ის ხვრელებიც, რაც ხელისუფლებას ამის საშუალებას მისცემს, ამომრჩეველთა სიაც, ადმინისტრაციული რესურსიც და კიდევ სხვა საშუალებები.

აქამდე for.ge იმის შესახებ წერდა, რომ „ნაციონალები“ პედაგოგებს და სხვა კატეგორიის საჯარო მოხელეებს ავალებენ, რომ მათ ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა მისცენ და თანაც ხმის მიცემისას, კაბინაში გადაიღონ ვიდეო, როგორ ხაზავენ ხუთ ნომერს. გარეთ კი ეს ვიდეო ნაციონალების საუბნო კოორდინატორს უნდა აჩვენონ, რათა ვალდებულება შესრულებულად ჩაეთვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი, სულ მცირე, სამსახურს დაკარგავენ.

ცხადია, რომ ეს მეთოდი გარკვეულწილად მოსახლეობის დასაშინებლადაც არის გათვლილი და რეალურად ამის გაკონტროლება შეუძლებელი იქნება. მაგრამ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები უკვე ახალ მეთოდზეც ალაპარაკდნენ. გასაგები მიზეზების გამო მათ ვინაობას ვერ დავასახელებთ, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ ამ ადამიანებმა თავად მიიღეს ეს ინსტრუქცია.

**მათი თქმით, ხელისუფლება წინასწარ გაამზადებს ბიულეტენებს, სადაც შემოხაზული იქნება ხუთი ნომერი, საარჩევნო უბანზე შესვლის წინ უბნის კოორდინატორი გარკვეულ კატეგორიას დაურიგებს ამ ბიულეტენებს და მათ ყუთში ეს შემოხაზული ბიულეტენი უნდა ჩააგდონ. უბნიდან კი ის ცარიელი ბიულეტენი უნდა გამოიტანონ, რომელსაც კომისიის წევრები მისცემენ და გარეთ კოორდინატორს ჩააბარონ.**

ამ სქემაში დაბრკოლებას კომისიის ბეჭედი და ხელმოწერა ქმნის. მაგრამ, თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ **ბეჭედს კომისიის თავმჯდომარე ინახავს, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელია, ფაქტობრივად დაბრკოლება აღარც კი არსებობს.** ამას ემატება ისიც, რომ 13-წევრიანი კომისიიდან ხელისუფლებას 7 წევრი ჰყავს. „ქართულ ოცნებას“ კი მხოლოდ 2 ეყოლება, ცხადია, თუ იქამდე ხელისუფლებამ კიდევ რამე არ მოიფიქრა და უიმათოდაც არ დატოვა.

**თეონა ხარაბაძე**

SIC!

# სამაჩაბლოს ქართული სოფლები — ნაგავსაყრელად!

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მთავარი სანიტარიული ექიმი უკვე რამდენიმე წელია განგაშს ტეხს იმის გამო, რომ ცხინვალი ერთ დიდ ნაგავსაყრელად იქცა. აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალში ჩასული სამშენებლო კომპანიები სამშენებლო ნარჩენების გატანისთვის თავს არ იწუხებდნენ და ნაგავს სადაც მოესურვებოდათ, იქ ყრიდნენ. სამშენებლო ნარჩენებს მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნაგავსაც უმატებდა და ასე იქმნებოდა მთელ ქალაქში ქაოსური ნაგავსაყრელები.**

მოხელეები მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, რომ ქალაქის სისუფთავეზე ეზრუნათ, მოქალაქეები კი ხელისუფლებას პრობლემის მოუგვარებლობაში ადანაშაულებდნენ. ცხინვალში გადათხრილი გზები და ნაგავსაყრელები იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ გაკვირვებას იქ ჩასული სტუმრებიც ვერ მალავდნენ. მაგალითად, დე ფაქტო რესპუბლიკის დედაქალაქში ჩასულმა რუსმა რეჟისორმა და მსახიობმა სტანისლავ გოვორუხინმა საჯაროდ განაცხადა, რომ ცხინვალი ერთ დიდ ნაგავსაყრელს აგონებს. ეს ფრაზა დიდხანს დარჩა ადგილობრივი მოსახლეობის განსჯის საგნად, მაგრამ ვითარება კიდევ უფრო გართულდა.

დე ფაქტო რესპუბლიკის მთავარი სანიტარიული ექიმი მარინა კოჩიევა ჩვენს რადიოსთან საუბარში აღნიშნავს, რომ ამჟამად ვითარება კატასტროფულია. კოჩიევა ნებისმიერ წუთს ინფექციური დაავადების აფეთქებას ელოდება, რადგან ცხინვალში ანტისანიტარიას უხარისხო წყალიც ემატება.

დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სანიტარიულ ექიმს პრობლემის მოსაგვარებელი გეგმა მოსთხოვა. კოჩიევა, პირველ რიგში, სამი ძირითადი მიმართულების მოწესრიგებას ითხოვს: მოსახლეობისთვის ხარისხიანი წყლის მიწოდებას, მდინარეებისა და ტბების ეკოლოგიურ დაცვას და დასახლებულ პუნქტებში ჰიგიენის დაცვას. მისი აზრით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაარჩენების პოლიგონის მოსაწყობად უნდა გამოიყოს ერთი ადგილი, სადაც ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანაც იმუშავებს.

თავიდან ცხინვალის ნაგავი სოფელ ტბეთის ნაგავსაყრელზე გაჰქონდათ, მაგრამ დროებითი ნაგავსაყრელი მუდმივად იქცა და სოფლის მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია, რადგან აქ წარმოქმნილი მტვრისა და სუნის გამო ადამიანის გაჩერება შეუძლებელი გახდა. მოგვიანებით, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში განაცხადეს, ტბეთის ნაგავსაყრელი გაუქმდა, მაგრამ ახალი ქაოსური ნაგავსაყრელები წარმოიშვა. ერთი მათგანი ქართული სოფლის, თამარაშენის, ტერიტორიაზეა, რომელიც ცხინვალის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ მიკრორაიონს — „მოსკოვსკის“ — ესაზღვრება.

ცხინვალის მერიამ ახალი პოლიგონისთვის კიდევ ერთი ქართული სოფლის ტერიტორია გამოყო. ქალაქის ვიცე-მერის ვადიმ გაბარაევის განცხადებით, ახალ ნაგავსაყრელად მალე სოფელ ფრისის და ერედვის ტერიტორიაზე არსებულ პემზის კარიერს გამოიყენებენ. ერედველები წარსულში ამ კარიერებს წითელ მიწებს ეძახდნენ, პემზას კი სამშენებლო მასალების დასამზადებლად იყენებდნენ. გაბარაევის თქმით, ტერიტორია იმდენად დიდია, რომ ნაგვის უტილიზაციისთვის 20-25 წელი გამოდგება.

ცხინვალის ვიცე-მერის თქმით, ვლადიკავკაზიდან ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის ნაწილი უკვე ჩატანილია, მაგრამ ფინანსების უქონლობა ამ ქარხნის გამართვას ხელს უშლის. თამარაშენთან მოწყობილი ნაგავსაყრელი უკვე გადავსებულია და, გაბარაევის აზრით, თუ ახალი პოლიგონი და ქარხანა რამდენიმე თვეში არ ამუშავდა, ცხინვალში ინფექციური დაავადებების აფეთქება მოხდება.

**გოგა აფციაური,**
**რადიო „თავისუფლება“**

ინფორმაცია

## საქართველოს სკოლებში სწავლა 17 სექტემბერს დაიწყება

**ამის შესახებ გუშინ განათლების სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა .**

**მისი თქმით, სკოლებში ახალი სასწავლო წლისთვის მზადება მიმდინარეობს და ყველა სკოლა 17 სექტემბერს სასწავლო პროცესს შეფერხების გარეშე განაახლებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები წელს 527 საჯარო სკოლაში განხორციელდა.**

**ხატია დეკანოიძის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სოციალური პროგრამის ფარგლებში აგრძელებს მოსწავლეებისთვის უფასო სახელმძღვანელოების გადაცემას.**

**მისი თქმით, წელს 140 ათასი მოსწავლე I-დან XII კლასის ჩათვლით სახელმწიფოსგან საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოებს მიიღებს. სახელმძღვანელოები გადაეცემათ სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებს, იმ ოჯახების მოსწავლეებს, საიდანაც ერთდროულად სამი ან მეტი ბავშვი სწავლობს სკოლაში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილებს. სულ ამ სამი კატეგორიის მოსწავლეებზე მილიონამდე წიგნი გაიცემა და ეს სახელმძღვანელოები მათ 17 სექტემბერს სკოლაში დახვდებათ.**

**მინისტრის განცხადებით, წელს პირველად სასკოლო სახელმძღვანელოები საქართველოს მასშტაბით 400 სკოლაში გაიყიდება. სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას სხვა სკოლების მოსწავლეებიც შეძლებენ. სახელმძღვანელოების მაქსიმალური ფასი 10 ლარი იქნება. წიგნების შეძენის შესაძლებლობა მოსწავლეებს 10 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით მიეცემათ. დაახლოებით 1 სექტემბრისთვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება იმ სკოლების ჩამონათვალი, სადაც სახელმძღვანელოები გაიყიდება.**

**ხატია დეკანოიძის ინფორმაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფოსტას შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში, მოსწავლეებს წელსაც შეეძლებათ სახლიდან გაუსვლელად, საქართველოს ფოსტის ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონულად გამოიწერონ სასკოლო სახელმძღვანელოები. ამ სერვისით სარგებლობა საქართველოს მასშტაბით ყველა მსურველს შეუძლია. გამოწერილ სახელმძღვანელოებს თბილისში მოსახლეობა გამოწერიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო რეგიონებში 48 საათის განმავლობაში მიიღებს. ასევე მოქმედებს საქართველოს ფოსტის ცხელი ხაზი: 224-09-09.**

**რაც შეეხებათ უმაღლეს სასწავლებლებს, სწავლის დაწყებას სასწავლებლები თავად წყვეტენ, თუმცა, სასწავლო პროცესი არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა უნდა დაიწყოს. იგივე ეხებათ საბავშვო ბაღებსაც, რომლებიც მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არიან.**

კომპეტენტურ უცხოელ სპეციალისტთა აზრი

# ვაფასებთ პოზიტიურ ცვლილებებს, მაგრამ არ გვინდა, ბრმები ვიყოთ!

**როგორც ჩვენი მკითხველისთვის არის ცნობილი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მიზნით თბილისს 20 აგვისტოს ეწვია. სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვდა როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, უწყებათაშორისი კომისიისა და საქართველოს პარლამენტის წევრებს. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს დელეგაციის შემაჯამებელი განცხადებიდან.**




### ტონინო პიცულა – ჩვენ ვხედავთ პრობლემებს...

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა ტონინო პიცულამ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, კონკრეტულ ინსტიტუციებში საერთაშორისო ორგანიზციების რეკომენდაციების მიხედვით გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა პრობლემები კვლავ რჩება.

**„მივესალმებით პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს საარჩევნო სისტემაში, მაგრამ არ გვინდა, ბრმები ვიყოთ და არ დავინახოთ პრობლემები ამ ქვეყანაში. ჩვენ პრობლემები თითქმის ყველა თანამოსაუბრესთან განვიხილეთ. ვხედავთ რამდენიმე პრობლემას — შეიძლება ეს იყოს არაობიექტურობა სამართალდამცავი ინსტიტუტების მოქმედებებში, ძირითადად ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ამ ინსტიტუტების მოქმედებები განვიხილეთ ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან და გავაფრთხილეთ, რომ ისინი მოქმედებენ „არანათელი“ ინსტრუქციებით. ჩვენი შეშფოთების მეორე საკითხია სასამართლო. გვინდა, ვიხილოთ ნათელი და ნაკლებად არაობიექტური ინსტრუქციებით მოქმედება და ნეიტრალური ჩარევა სხვადასხვა საქმეებში. საკმაო დროა ამ პრობლემების გასასწორებლად. რასაც ვხედავთ, არის საზოგადოების დიდი პოლარიზაცია. შეიძლება ვცდები, მაგრამ პოლიტიკური მეტოქეები, თანამდებობის პირები და ოპოზიცია, როგორც ჩანს, საერთო ფასეულობებს არ იზიარებენ. ჩვენ გვინდა ვიხილოთ არჩევნები, როგორც დემოკრატიის ზეიმი საქართველოში“,** — განაცხადა ტონინო პიცულამ.

მისი თქმით, დელეგაციას სურდა ყველას აზრის მოსმენა, პრეზიდენტიდან დაწყებული, ოპოზიციის ლიდერებით, მედიის წარმომადგენლებით, არასამთავრობოებით და პარლამენტის წევრებით დასრულებული.

„გვსურდა, გაგვეგო, როგორ აფასებენ მდგომარეობას საქართველოში და რა მოლოდინები აქვთ მათ. ჩვენ აქ ვართ იმისთვის, რომ განვახორციელოთ კარგად ცნობილი „ნოუ ჰაუ“, რომელიც განვითარდა საპარლამენტო ასამბლეაში — „ნოუ ჰაუ“, თუ როგორ შეფასდეს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მქონდა პრივილეგია და პატივი, გამეკეთებინა ეს ბევრ ქვეყანაში საქართველომდე. ჩვენ ვაანალიზებთ მედიის მდგომარეობას, მთავრობასა და არასამთავრობოებს შორის, ასევე პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობებს“, — აღნიშნა ტონინო პიცულამ.

### ეუთოს დელეგაციის შეფასებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფართოდ იყენებს თვითნებურ ძალაუფლებას

**„მომავალ საპარლამენტო არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის. ჩვენ ძალიან ვაფასებთ, რომ მოგვეცა დრო, შევხვედროდით საქართველოს საზოგადოების ყველა დონის ხალხს და მივესალმებით აშკარა წინასაარჩევნო ძალისხმევას, რომელიც მიმართული იყო ამომრჩეველთა სიის დაზუსტების უზრუნველსაყოფად, კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისთვის და მედიის ხელმისაწვდომობის გავრცელებისკენ მთელ ქვეყანაში. რამდენიმე საკითხი გვაღელვებს და მათზე ყურადღებით დაკვირვებას გავაგრძელებთ. ჩვენ ვნახეთ ზრდადი პოლიტიკური პოლარიზაცია. განსაკუთრებით გვაწუხებს რამდენიმე სამართალდამცავი ინსტიტუტის მოქმედება. ჩვენი აზრით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფართოდ იყენებს თვითნებურ ძალაუფლებას პარტიის თუ ინდივიდუალური ხარჯვის კანონიერების დასადგენად და იღებს საეჭვო გადაწყვეტილებებს და მკაცრ ჯარიმებს აკისრებს ნათელი ან გამჭვირვალე ინსტრუქციების გარეშე. ჯარიმები არის არაპროპორციული და აშკარად შერჩევით არის გამოყენებული — ძირითადად ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ“,** — აცხადებს ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი და საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ტონინო პიცულა.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა ასევე არის ფუნდამენტური საკითხი სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების უზრუნველსაყოფად. **„ამ არჩევნების წარმატება ასევე დამოკიდებულია პასუხისმგებელ ოპოზიციაზე, რომელმაც მიზნები კამპანიის წესების პატივისცემით უნდა განახორციელოს. ყველა პარტიამ პატივი უნდა სცეს და მიიღოს არჩევნების შედეგები“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

დელეგაცია იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ნდობის ღირს არჩევნებს და ყველა პარტიისთვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს. **„ვიმედოვნებ, საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფს ნდობის ღირს არჩევნებს და თანაბარ პირობებს ყველა პარტიისთვის, იქნება ეს მედიის ხელმისაწვდომობა და ჟურნალისტების დაცვა, რომელთა სამსახური არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ არჩევნების დღეს“,** — აღნიშნა რიკარდო მილიორიმ.

### რიკარდო მილიორი – საარჩევნო კამპანიაში ცოტა ლენინიზმია

რიკარდო მილიორის განმარტებით, ვიზიტის განმავლობაში დელეგაციის დუმილი ქართული საზოგადოებისა და საარჩევნო კამპანიის კარგად გაცნობის მიზანმა განაპირობა.

**„ჩვენ მნიშვნელოვანი თავგადასავალი გვქონდა ამ ქვეყანაში — ეს არის წინასაარჩევნო მონიტორინგი. ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი მომავლისთვის. არჩევნები უნდა იყოს შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი ევროპაში. ეს არის სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების მიზანი. ცოტა ლენინიზმია საარჩევნო კამპანიაში, რომლის მიზანია მტრების განადგურების მცდელობა და არა — პროგრამების წარდგენა. ამ საზოგადოებაში არ არიან მტრები. მნიშვნელოვანია, პარტიებმა აჩვენონ ხალხს თავიანთი პროგრამები და იდეები. საქართველო მნიშვნელოვანი ერია, მნიშვნელოვანი ადგილი კავკასიაში, დემოკრატიის შუქია და ჩვენ აქ ვართ ამ შუქის ხაზგასასმელად“,** — განაცხადა რიკარდო მილიორმა და იმედი გამოთქვა, რომ კონკურენტული, ენერგიული საარჩევნო კამპანიისთვის, ასევე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის მეტი შესაძლებლობა გაჩნდება.

რიკარდო მილიორმა ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პარტიებს, რომლებმაც შეხვედრებზე დელეგაციას სხვადასხვა სახის ინფორმაცია მიაწოდეს.




## ეუთოს არჩევნების სადამკვირვებლო მისია მუშაობას იწყებს

**22 აგვისტოს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა დააფუძნა საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, რომელიც საქართველოში პირველ ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებს დააკვირდება.** მისია თბილისში მოვლენილი 15 საერთაშორისო ექსპერტისა და ქვეყნის მასშტაბით განაწილებული 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება.

**„ჩვენ არ გვაინტერესებს ვინ მოიგებს არჩევნებს, ჩვენ გვაინტერესებს, რომ არჩევნები, რომელიც საქართველოში პირველ ოქტომბერს გაიმართება, ეუთოს მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ შეთანხმებული ვალდებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გაიმართოს“,** — აცხადებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ნიკოლაი ვულჩანოვი. მისია საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს მონიტორინგს გაუწევს.

**„ჩვენ უკვე გვქონდა შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან. ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა. მომავალ კვირას 28 გრძელვადიან დამკვირვებელს ველოდებით, რომლებიც საქართველოს რეგიონებში ორ-ორ კაციან ჯგუფებად დანაწილდებიან. ჩვენი მთავარი მიზანია, შევაფასოთ, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში მიმდინარე მოვლენები დემოკრატიულ საარჩევნო პროცესებსა და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას“,** — ამბობს ნიკოლაი ვულჩანოვი.

**ნინო თარხნიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“



Mzia Saganelidze (RFE/RL)

### ინფორმაცია

#### „ლეიბორისტების“ განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი მმართველი გუნდის დაფინანსებას აგრძელებს

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის სოსო შატბერაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ფულის გადარიცხვას აგრძელებს.**

**როგორც შატბერაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, მმართველი გუნდის საარჩევნო ფონდი უკვე შევსებულია 128 მილიონი ლარით.**

**— ის, რომ ბიძინა ივანიშვილი წლების მანძილზე აფინანსებდა „ნაცმოძრაობას“, ამას თვითონ ოლიგარქიც აღიარებს, მაგრამ არც ერთხელ მას იმდენი ფული „ნაცმოძრაობისთვის“ არ გადაურიცხავს, რამდენიც გადარიცხა წელს, — განაცხადა შატბერაშვილმა.**

**მისივე თქმით, „ლეიბორისტები“ ივანიშვილისგან მოითხოვენ, რომ არჩევნებამდე შეწყვიტოს სააკაშვილის დაფინანსება.**

#### ცოტნე ზურაბიანი სპორტის სამინისტროსგან ხარჯების შესახებ ინფორმაციას ითხოვს

**„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ზურაბიანი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსგან წლების განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას ითხოვს. შესაბამისი მიმართვა მინისტრის ვლადიმერ ვარძელაშვილის სახელზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ზურაბიანმა გუშინ შეიტანა.**

**— საზოგადოებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის მილიონები, რომლებიც გამოყოფილია ახალგაზრდებისთვის, არ ხმარდება სამიზნე ჯგუფს. მოვითხოვ ვლადიმერ ვარძელაშვილისგან, რომ სამტრედიიდან ჩამოვიდეს თბილისში, შეეშვას ზონდერების წვრთნას და დროულად მოგვაწოდოს ინფორმაცია ჩვენს მოთხოვნებზე. ამ სამინისტროში რეალურად საქმის კეთება კი არ ხდება, არამედ პოლიტიკა ძირითადად ზონდერებზე და ძალადობაზე არის ორიენტირებული, — განაცხადა ზურაბიანმა.**

ინტერპრესი

# ქართველთა ცხოვრების წიგნი სამუდამოდ რომ არ დაიხუროს!

**საქართველო უკვე, კარგა ხანია, არჩევნების რეჟიმში ცხოვრობს. თითქმის ყოველწლიურად ტარდება არჩევნები. ჯერ იყო და თვითმმართველობის არჩევნები ჩავატარეთ, ამჟამად საპარლამენტო არჩევნებს ვატარებთ, მომავალ წელს კიდევ საპრეზიდენტო არჩევნები გველოდება. ნორმალურ საზოგადოებაში, სადაც კანონი კანონობს და ძალა აღმართს არ ხნავს, არჩევნები არ არღვევს ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ჩვენთან კი არჩევნები ათასი სისაძაგლის თანხლებით ტარდება, იხარჯება თუ მილიარდობით არა, მილიონობით ასეული ლარი, რომელიც ამ გაძვალტყავებულ ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვება.**

მმართველ, ნაციონალურ პარტიას და მის ლიდერს თავისი საქმიანობის ვადა ეწურება, ესეც რომ არ იყოს, მათ ყავლი გაუვიდათ და იმის მაგივრად, რომ მშვიდობიანად დატოვონ ცხოვრების სარბიელი, გამჩენი არ ასვენებთ: ათასგვარ, გაუგონარ, „უმიზეზო მიზეზებს“ ეძებენ, რათა ხელი შეუშალონ სხვა პარტიებს და პირველ რიგში, ქართულ ოცნებას. განათლებული საქართველო შესანიშნავად ხედავს შექმნილ ვითარებას, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში სამართლიანი გზის სიარულს არ განებებენ. ამასთან მმართველმა პარტიამ იმდენად მოშალა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრება, რომ საარჩევნო დებატების გამართვის აზრიც იკარგება. ამჟამად შექმნილი საზოგადოებრივი განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალებს არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ რჩებათ, მიუხედავად ამისა, მათ არ სურთ ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა, რადგან მეტად სახიფათო დაპირისპირებისკენ დგამენ ნაბიჯებს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩატარებულ აქციაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ქართველი ხალხისთვის ნაციონალების წასვლა ნამდვილად არ იქნება ნაციონალური დანაკარგი.

წინასაარჩევნო დაპირებებს ნაციონალები ისე გულუხვად არიგებენ, რომ მეტი „დაპირებები“ აღარაფერი დარჩა. ყვარყვარე თუთაბერისა არ იყოს, ოქროს „სარაიების“ აშენებასაც კი შეჰპირდნენ ამომრჩევლებს, ოღონდაც თავისას რომ აიშენებენ – შემდეგ. ისე, კაცმა რომ თქვას, სჯობდა ეს დაპირება შეებრუნებინათ. აბა, გავიხსენოთ, რამდენი არჩევნები ჩატარდა და წინასაარჩევნოდ რამდენი დაპირება გაიცა თამასუქის სახით, მაგრამ ეს დაპირება შემდეგში არავის გახსენებია. **ჩვენმა ამომრჩეველმა თავისი წინა – მძღოლი უნდა აირჩიოს და არა წინა – მძღომი.** როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, „ჩვენში ხშირად არჩეული წინამძღოლს, წინა – მძღომს ეძახიან... წინა – მძღოლელი ნიშნავს იმას, ვინც ხალხს წინ უძღვის და წინა-მძღომელი კი ის, ვინც იმათ წინდაწინ გააძღებს ხოლმე – ამომირჩიეთო... ჩვენ ყოველთვის წინამძღოლები გვყოლია?“ (გავიხსენოთ კახეთში მწვადზე დაპატიჟებული ხალხიძ. ამიტომაა, რომ არჩევნებში მიცემული ერთი სერიოზული დაპირებაც არ შესრულებულა. ბევრი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე, თავის ჯიბეზე ზრუნავს და ბევრსაც მსუქანი ჯამაგირის ცდუნება სჭირს.

ახლაც ბატონმა ვანო მერაბიშვილმა დანიშვნის მეორე დღესვე დაპირებებით გააბრუა მოსახლეობა, თუმცა, ამჯერად დაპირებების შესრულების შემთხვევაშიც კი დიდ სარგებელს ვერაფერს მიიღებს ხალხი. ამ დაპირებების გამო ერთი გურული ანეკდოტი მახსენდება: გურულმა, რომელიც მეფის დროს გაზიან წყალს ყიდდა, რევოლუციაში დიდი მონაწილეობა მიიღო. რევოლუციის შემდეგ ისევ გაზიანი წყლის გაყიდვა დაიწყო. ერთხელაც მეგობარმა უთხრა: ძამა, ნიკოლოზი გიშლიდა წყლის გაყიდვასო? ასეა ნაციონალების საქმეც – ვინმე უშლიდა მათ ხელს სოფლის მეურნეობაში სათანადო სახსრები დაებანდებინათ და ჩვენი ქვეყნის მოწინავე დარგი მთლიანად არ დაენგრიათ? ამჟამად მთავარი ის არის, რომ ნაციონალები ყოველგვარი წინასწარი განხილვისა და მსჯელობის გარეშე აპირებენ სოფლის მეურნეობაში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას და ჰგონიათ, რომ მათ შედეგი მოჰყვება. კონკრეტული გეგმა მათ არ გააჩნიათ. მაგალითად, ბატონმა ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს 2000 ტრაქტორს შეიძენენ სოფლის მეურნეობისთვის, მაგრამ თუ ვინმე დაფიქრდა იმაზე, რომ საქართველოში 3 668 სოფელია და 2000 ტრაქტორი არაფერს ნიშნავს? ძველი ტრაქტორები კი აღარ არსებობს – ისინი მორალურად და ფიზიკურად გაცვდა. 2000 ტრაქტორის შეძენის შემთხვევაში ჩვენ ტრაქტორებით უზრუნველყოფის მხრივ დაახლოებით 1936 წლის დონეზე ვიქნებით, მაგრამ მაშინ გლეხებს გუთანი და ხარებიც ჰყავდათ. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ჯერ კიდევ, 1977 წელს საქართველოში სატრაქტორო პარკი 22860 ტრაქტორს ითვლიდა და ყოველწლიურად 1970-იან წლებში სოფელს საშუალოდ 3200 ტრაქტორი მიეწოდებოდა. ამავე 1977 წელს 1563 მარცვალასაღები კომბაინი და 20606 სატვირთო ავტომობილი გვქონდა, 1988 წლის საქართველოში უკვე 28 ათასზე მეტი ტრაქტორი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწები 2779 ათას ჰექტარს, ხოლო პირად დამხმარე საკარმიდამო ნაკვეთების ფართობი 183 ათას ჰექტარს შეადგენდა. პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში შესამჩნევად მაღალი იყო და იგი 41 პროცენტს უდრიდა. ყოველივე ეს იმის შედეგიც იყო, რომ პირადი დამხმარე მეურნეობები სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სექტორის დახმარებითა და ხელშეწყობით, მათ შორის ტრაქტორებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. ამჟამად კი, როდესაც უკვე სოფლად გლეხებს არა სარგებლობაში, არამედ პირად საკუთრებაში აქვთ გაცილებით მეტი მიწის ფართობები, მათი დიდი ნაწილი დაუხვნელი და დაუმუშავებელია სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო.

აუცილებელია აქ სტიქიური ბუნებრივი მოვლენების შესახებაც აღინიშნოს, რომელმაც ახლახან ასე დააზარალა კახეთი. ნაწილობრივ ეს იმის შედეგიც არის, რომ აღარ ტარდება ვენახების სეტყვისაგან დაცვის ღონისძიებები, მდინარეთა ნაპირგასამაგრი სამუშაოები და სხვ. ჯერ კიდევ 1961 წლიდან კახეთის რაიონებში ფუნქციონირებდა სეტყვასთან ბრძოლის სამსახური. მისი წლიური ბიუჯეტი 8 მილიონ 500 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა – 850 კაცს. ამასთან, პირველად საბჭოთა კავშირში კახეთის რამდენიმე რაიონის – ახმეტის, თელავის, გურჯაანისა და ყვარლის მეურნეობებში 1976 წელს და შემდეგ წლებში ჩატარდა სეტყვის საწინააღმდეგო კაპრონის ბადეებით ვენახების საცდელი გადახურვა.

სრულ გაუგებრობაზეა აგებული ბატონ ვანო მერაბიშვილის მსჯელობა თითოეულ ოჯახზე 1000-ლარიანი დახმარების შესახებ, რომელიც ოთხ წელზეა გაწერილი. როგორც ბატონმა ვანომ აღნიშნა, წელიწადში 250 ლარით შეიძლება გადავიხადოთ დენისა და გაზის გადასახადები, ვიყიდოთ წამლები, ბავშვებს შევუძინოთ სასკოლო ლიტერატურა და სხვ. ამდენ ხანს კიდევ გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ თუ ოჯახს სკოლის ასაკის ორი ბავშვი ყავდა, ეს თანხა ძლივს გაწვდებოდა მხოლოდ სასწავლო ლიტერატურისა და ნივთების შეძენას.

ბევრი პრობლემა არჩევნებიდან არჩევნებამდე გადაუწყვეტელი რჩება, თუმცა მათი სამართლიანი გადაწყვეტა სიძნელეს არ წარმოადგენს. კერძოდ, ყოველი არჩევნების დროს ისმება საკითხი ტელეარხების „კავკასიისა“ და „მაესტროს“ გადაცემების შესახებ – ქვეყნის ყველა მცხოვრებს შეეძლოთ ამ გადაცემების ნახვა. ვერა და ვერ დგინდება ამომრჩეველთა რაოდენობა. ამ საკითხის მოგვარება მამუკა კაციტაძის კომისიას დაევალა. **მამუკა კაციტაძემ კიდევ მოსახლეობას სახეგაბადრულმა ამცნო: საქართველოში არც მეტი, არც ნაკლები 3 621 256 ამომრჩეველიაო.** „დაგვიჯერებენ მხოლოდ იმას, რაც თვითონ გვჯერა“ და რადგან შინაგანად ეს არც მამუკა კაციტაძეს სჯერა, ამ საკითხზე შემდეგი უნდა ითქვას.

მამუკა კაციტაძის კომისია ამ საკითხის გასარკვევად 5 მილიონი ლარით დაფინანსდა. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა კი 8 047 300 ლარი დაჯდა. აქედან დონორმა ქვეყნებმა 2 229 100 ლარი გაიღეს, ხოლო დანარჩენი ხარჯები – 5 818 200 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტმა გაიღო. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით მოსახლეობის აღწერის მომზადებისა და ჩატარებისთვის გაწეულმა მთლიანმა ხარჯმა 1 ლარი და 84 თეთრი შეადგინა, ხოლო ერთ ამომრჩეველზე გაანგარიშებით მამუკა კაციტაძის კომისიამ 1 ლარი და 38 თეთრი დახარჯა. ამასთან მოსახლეობის აღწერა შეუდარებლად უფრო შრომატევადი, უამრავი კითხვის შემცველი და ძვირადღირებული ღონისძიებაა, ვიდრე ამომრჩეველთა დადგენა. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნები მოსახლეობის აღწერისთვის მზადებას 7-8 წლით ადრე იწყებენ. ჩვენთან 2002 წლის აღწერის ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები 7 წლით ადრე დაიწყო. **ეს ფაქტი უკვე მეტად არასასურველ ეჭვს ბადებს ამომრჩეველთა სიების დადგენის სისწორეზე.** **ჩვენ არაფერს ვამბოთ იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩატარდა პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად მოსახლეობის აღწერა 2009 წელს (ისე როგორც ეს ჩატარდა მეზობელ ქვეყნებში), რა მიზეზით გადაიდო ან კიდევ როდის ჩატარდება აღწერა? მოსახლეობის აღწერის ჩატარების შემთხვევაში, ჩვენ, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით სწორად გვეცოდინებოდა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციის მასშტაბები, უმუშევართა რაოდენობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც საშუალებას მოგვცემდა, სწორად განგვესაზღვრა ამომრჩეველთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები დანახარჯებით და იმ ზედმეტ ხარჯებსაც ავცდებოდით, რის გაღებასაც აპირებს ბატონ პაატა ტრაპაიძის დასაქმების სამინისტრო უმუშევართა რაოდენობის დადგენისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლისათვის. მოსახლეობის აღწერა გადაიდო მხოლოდ ერთი მიზეზით: ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება უაღრესად მძიმეა და შესაბამისი მონაცემების გამოქვეყნება ხელისუფლებას არ აწყობს.**

ახლა ის საკითხიც გავარკვიოთ მართლა გვყავს თუ არა **3 621 256** ამომრჩეველი. გაანგარიშება ჯერ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გავაკეთოთ. 2011 წლის 1 იანვრისთვის (დაახლოებით იგივე მდგომარეობაა 2012 წლის 1 იანვრისთვისაცძ საქართველოს მოსახლეობა 4 469 200 კაცს უდრიდა. აქედან 18 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ, არის 953 000. ამრიგად, საქართველოში 3 516 000 ადამიანია საარჩევნო ხმის უფლების მქონე, 105 ათასით ნაკლები მამუკა კაციტაძის მაჩვენებელთან შედარებით. მოვლენა, რომ უფრო ნათელი გახდეს, შემდეგიც უნდა ითქვას. საქართველოს მუდმივ მოსახლეობად ითვლება ის ადამიანებიც, რომლებიც ერთ წელზე ნაკლები ვადით არიან გასული საზღვარგარეთ. როგორც ცნობილია, ბევრი ჩვენი თანამემამულე გასულია სამუშაოდ, მათ შორის, სეზონურ სამუშაოზე, საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებში. მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ვადით არიან ისინი გასული საზღვარგარეთ (3 თვით, 6 თვით, 1 წლითძ ჩვენთვის უცნობია – მიგრაციული პროცესების აღრიცხვა არასრულყოფილია. ზოგიერთი შეფასებით მათი რაოდენობა 400 ათასი კაცითაც კი განისაზღვრება. ჩვენი ვარაუდით, საქართველოდან ერთ წელზე ნაკლები ვადით წასულთა რაოდენობა ნაკლები უნდა იყოს. თუ ამ მსჯელობას სრულყოფილად მივიჩნევთ, რაც, ვფიქრობთ, რეალობას არ არის მოწყვეტილი, მაშინ საქართველოში 3 100 000 – 3 300 000 ათასი ამომრჩეველია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა, როგორც 2025 ისე 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად შემცირდება. კერძოდ, სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით გაიზრდება, აზერბაიჯანისა – 37 პროცენტით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. ეს პროცესი კარგა ხნის დაწყებულია, რაც განპირობებულია შობადობის დონის შემცირების, მოკვდაობის დონის გადიდებისა და გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოთი. ამიტომ არის, რომ ქართველი დემოგრაფების თვით ილიას უნივერსიტეტის პროფესორების გ. წულაძისა და ნ. მაღლაფერიძის შეფასებით, საქართველოს მოსახლეობა 2011 წელს 3 790 400 კაცს უდრიდა, ხოლო 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების რაოდენობა – დაახლოებით 892 400 კაცს. ამრიგად, ამომრჩეველთა რაოდენობა 2 898 000 კაცს შეადგენდა. თუ მხედველობაში მივიღებთ 1 წლამდე ვადით საქართველოდან გასულ მოქალაქეებს და არალეგალ მიგრანტებსაც, მაშინ საქართველოში 2,5 მილიონზე ცოტათი მეტი ამომრჩეველი გვყავს. სხვა საქმეა როგორ შეძლებენ საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, ისიც სამუშაო დღეს. **რა თქმა უნდა, ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდით ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად ემზადება...**



**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი, დემოგრაფი.

**(დასასრული მორიგ ნომერში)**



## SOS!

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა, როგორც 2025 ისე 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად შემცირდება. კერძოდ, სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით გაიზრდება, აზერბაიჯანისა – 37 პროცენტით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება. ეს პროცესი კარგა ხანია, დაწყებულია, რაც განპირობებულია შობადობის დონის შემცირების, მოკვდაობის დონის გადიდებისა და გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოთი.**

## ვინ იქნება მომავალი პრეზიდენტი?

# რისთვის ემზადება ნინო ბურჯანაძე?

ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ, „შუშის სასახლიდან“ გამოსულ ნინო ბურჯანაძეს იქვე დადარაჯებულმა ჟურნალისტებმა კითხეს: **„მართალია თუ არა, რომ ბატონმა ბიძინამ მომავალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრობა შემოგთავაზათ?“**. ბურჯანაძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა სიცილი შეეკავებინა.

ყველაზე კომიკური ისაა, რომ საკითხი სერიოზულად განიხილება, რაკი ბევრს მართლა ჰგონია, ნინო ბურჯანაძე რაიმე თანამდებობას დათანხმდება, გარდა პრეზიდენტობისა! ესეც მხოლოდ იმ დათქმით, რომ იგი სრულიად დამოუკიდებლად აპირებს სახელმწიფოს მეთაურობისთვის ბრძოლას, ანუ ივანიშვილს, შეხვედრისას, უეჭველად მხოლოდ ამას სთხოვდა: ეგება შენს გარშემო შემოკრებილმა გოგო-ბიჭებმა, მათ შორის ირაკლი ალასანიამ, ხელი არ შემიშალონო. ნინო ბურჯანაძეს ბიძინა ივანიშვილთან სხვა სათხოვარი და სალაპარაკო არც არაფერი აქვს, რაკი საპარლამენტო არჩევნები მას თითქმის არ აინტერესებს; ან აინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ივანიშვილის პარტია მომავალ პარლამენტში „შეავიწროვებს“ ნაციონალებს და ამით კიდევ უფრო გაზრდის ბურჯანაძის საპრეზიდენტო შანსებს.



სინამდვილეში, პარლამენტის ექს-სპიკერი არასდროს ემზადებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის; იგი მუდამ ემზადებოდა მხოლოდ და მხოლოდ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და მწარედ ცდება ის, ვისაც ჰგონია, თითქოს ბურჯანაძეს მომავალ წელს სხვებზე ბევრად მეტი შანსი ექნება. ვინც ასე ფიქრობს, ეს ქალბატონი ბოლო 10 წლის განმავლობაში კარგად ვერ შეუსწავლია: ნინო ბურჯანაძე 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც, რეალურად, 2005 წლის საპრეზიდენტო მარათონისთვის ემზადებოდა და ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა კიდეც: ჩემი მთავარი პოლიტიკური შეცდომა ის იყო, მაშინ საკუთარი პარტია არ შევქმენიო!

თუ ქართული პოლიტიკის ენიდან გადმოვთარგმნით, ეს იმას ნიშნავს, რომ ბურჯანაძე ნანობს მაშინ ზურაბ ჟვანიას გუნდთან გაფორმებული ალიანსის გამო, როდესაც დაუჯერა („ჩვენ ვიქნებით შენი პარტიაო“ძ და, როგორც თავად მიაჩნია, სულ მალე გარიყეს რეალური ძალაუფლებისგან სიაში მისი ხალხის დაბლოკვით, ახალი კონსტიტუციის მიღებითა და პარლამენტის უფლებამოსილებათა შემცირებით.

ასეთ შეცდომას რომ აღარ გაიმეორებს ცხადია, ამიტომ სულაც არ მეჩვენება გადაჭარბებულად მისი მტკიცება, რომ არანაირი სურვილი არა აქვს, ივანიშვილის კოალიციის წევრი გახდეს. იგი ხომ არავის ლიდერობას არასდროს არ აღიარებდა. და ბიძინა ივანიშვილისას, მით უმეტეს, არ აღიარებს: სხვათა შორის, არც მიშა სააკაშვილს აღიარებდა გარკვეულ მომენტამდე და უცნობთან საკანში თქვა კიდეც: „სულაც არ მეპიტნავებოდა მისი ლიდერობა, მაგრამ რა უნდა მექნა, როდესაც ხალხი გადაირიაო“.

ერთიან ოპოზიციურ ფრონტში, რასაც ეს ექს-სპიკერი დღენიადაგ ქადაგებდა, იგი სულაც არ გულისხმობდა „კოალიციაში“ დემოკრატიული მოძრაობის შესვლას, არამედ მხოლოდ ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებას, ანუ ერთგვარ კონფედერაციას – უმეტესად ქუჩის აქციებისა და მიტინგების მოსაწყობად. მაგრამ ვინმეს კოალიციაში შესვლა იმთავითვე გულისხმობდა დამოუკიდებლობაზე და ლიდერობაზე, ესე იგი საპრეზიდენტო პერსპექტივებზე უარის თქმას, რაც მისთვის მიუღებელია.

ისე, თუ ბიძინა ივანიშვილი მას დღევანდელი სტატუსითაც დაეხმარება მოიგოს არჩევნები 2013 წელს და დაამარცხოს გიგი უგულავა, – უარს, რასაკვირველია, არ იტყვის, მაგრამ იცის, რომ „ოცნებას“ (უფრო ზუსტად, მის თავკაცსძ საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი ეყოლება. ყველაზე დიდი ალბათობით, ირაკლი ალასანია.

ყველაზე უცნაური კი, მთელს ამ ისტორიაში ის სრულიად არაკომპეტენტური სტერეოტიპია, თითქოს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ბევრს არაფერს წყვეტს და რომ ვინც არ უნდა გახდეს ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი, ხელისუფლება მაინც პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს ექნება, ხოლო საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით არჩეული სახელმწიფოს მეთაური „გუდურა პრეზიდენტის“ როლს დასჯერდება.

ვისაც ამის სჯერა, უბრალოდ წარმოდგენა არა აქვს, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ და რა კონსტიტუცია ამოქმედდება 2013 წელს. სინამდვილეში, იმ კონსტიტუციით და აგრეთვე საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით, საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტი, – მის ხელთ არსებული მძლავრი ბერკეტებით, ფორმალური თუ არაფორმალური გავლენებით, ღია აგრესიით თუ ფარული ინტრიგებით, – სულ მალე დაანგრევს ნებისმიერ უმრავლესობას პარლამენტში. უმოკლეს ვადაში ის, ვინც იყო „მიშას პარტია“ ან „ბიძინას პარტია“, ასეთივე გულმოდგინებით იქცევა „ნინოს პარტიად“.

ამაში ერთი წუთით არ შეგეპაროთ ეჭვი. ბურჯანაძე ამ გათვლაში ნამდვილად არ ცდება. სხვა საქმე იქნებოდა, პრეზიდენტს რომ პარლამენტი ირჩევდეს.

**აქედან გამომდინარე, „გადამწყვეტი და საბედისწერო არჩევნები“ ჩვენში წელს კი არ ტარდება, – როგორც დღენიადაგ ჩაგვჩიჩინებენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე „ოცნების“ წარმომადგენლები, – არამედ გაისად! ეს შესანიშნავად იცის ნინო ბურჯანაძემ, ამიტომაც ძლივს შეიკავა სიცილი სულელურ კითხვაზე: „ბატონმა ბიძინამ საგარეო საქმეთა მინისტრობა ხომ არ შემოგთავაზათო“.**

**ნიკა იმნაიშვილი,**

ჯი-ეიჩ-ენი

## ქვეყნის ზურგზე



### აშშ სჯობნის რუსეთს ცენტრალურ აზიაში: რეგიონში ჰქმნის „უდიდეს სამხედრო ობიექტს“

**ორ ქვეყანას შორის მწვავდება ბრძოლა აზიის რესპუბლიკებში გავლენისთვის. ამერიკელები უზბეკებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, რათა იქ განამტკიცონ თავისი სამხედრო მოსამსახურეების ყოფნა. მოსკოვი კი აწესრიგებს კავშირურთიერთობას ყირგიზეთთან, რომლის პრეზიდენტმაც ადრე მოასწრო მისი მეტად გალიზიანება, და ახლაც შეიძლება გაუცრუოს მოლოდინი.**

* * *

### თემი თემზე: კენიაში აკუწეს და ცოცხლად დაწვეს 52 კაცი, მათ შორის 11 ბავშვი



**ოკომოს თემის წარმომადგენლები თავს დაესხნენ რეკეტის სოფელს სანაპირო პროვინციაში მდინარე ტანას რაიონში, სადაც თემ ორმას წევრები ცხოვრობენ. კონფლიქტი დაიწყო მაშინ, როდესაც ორმას ჯოგი შევიდა საძოვარზე, რომელსაც ოკომოს თემი თავისად მიიჩნევს. დაღუპულთა უმრავლესობა ქალებია.**

* * *

### „ფორბსის“ ყველაზე გავლენიანი ქალების ახალი სია: მერკელმა შეინარჩუნა ლიდერობა



**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი რეიტინგს სათავეში უდგას უკვე მეექვსედ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი წელს მეორე ადგილზეა. რეიტინგში მესამე გახდა ბრაზილიის პრეზიდენტი ბილმა რუსეფი. მეოთხე ადგილი მიიღო კორპორაცია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელმა მელინდა გეიტსმა, მეხუთე გახდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მთავარი რედაქტორი ჯილ აბრამსონი.**

* * *

### „კორიოსიტის“ დაჯდომის ადგილს მარსზე ცნობილი მწერლის სახელი უწოდეს: „ბრედბერი ლენდინგი“

**„ნასას“ მეცნიერებმა მოაწყვეს მარსმავალის პირველი მოძრაობის გამოცდა წითელი პლანეტის ზედაპირზე. მთლიანად აპარატმა გაიარა დაახლოებით 10 მეტრი, შემობრუნდა, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ გადასცა დედამიწაზე თავისი პირველი „ლაშქრობის“ სურათები. ფოტოზე ახლა შეიძლება შევხედოთ დაჯდომის ისტორიულ ადგილს.**



## „ტრიბუნის“ ვებგვერდიდან

# ვირის „ობრაზი“ ძნელი დასათმობი ყოფილაო?!.



**გიგა ნასარიძემ „ნაცმოძრაობას“ შემოწირულობის სახით საარჩევნო კლიპები გადასცა. საერთაშორისო გამჭვირვალობა კი ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“ და ნაციონალურ მოძრაობას უკანონო გარიგებაში ადანაშაულებს.**

საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნასარიძის კომპანიის მიერ მმართველი პარტიისთვის უსასყიდლოდ გადაცემული კლიპები უკანონო შემოწირულობაა.

საუბარია იმ ვიდეორგოლებზე, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის შავ პიარს ემსახურება და რომელთაც ამჯერად უკვე ნაციონალური მოძრაობა ათავსებს სატელევიზო ეთერში.

საერთაშორისო გამჭვირვალობა ორივე სუბიექტის დაჯარიმებას ითხოვს.

**„ყველა მსურველ პოლიტიკურ პარტიას ვაჩუქებ კლიპებს,“** – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“ დამფუძნებელმა გიგა ნასარიძემ „ტრიბუნასთან“ საუბრისას.

მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ მან, როგორც ფიზიკურმა პირმა, გადასცა კლიპები და არა, როგორც იურიდიულმა პირმა.

**„შემოწირულობა უკანონო მაშინ იქნებოდა, ჩვენ, როგორც იურიდიულ პირს რომ შეგვეწირა ეს „ნაციონალური მოძრაობისათვის“. ამ შემთხვევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მართალი იქნებოდა. მაგრამ ეს ჩვენ – მე და ჩემმა მეგობარმა შევწირეთ, როგორც ფიზიკურმა პირებმა, აქედან გამომდინარე, ვერანაირი კანონი ვერ იქნება ჩვენს წინააღმდეგ. ხსენებული კლიპი პირადად ჩემი დამზადებულია,“** – განაცხადა ნასარიძემ.

მისი თქმით, ანალოგიური შეთავაზება სხვა პოლიტიკური პარტიებისთვისაც ძალაში რჩება.

**„ჩვენ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას ვთავაზობდით თანამშრომლობას. ამ ეტაპზე მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ გამოგვეხმაურა და მას გადავეცით კლიპები. ჩვენი შეთავაზება ისევ ძალაშია და თუ ვინმე არის მსურველი მათაც გადავცემთ,“** – განაცხადა ნასარიძემ.

აი, რა კომენტრები გაკეთდა „ტრიბუნის“ ვებგვერდზე:

**Anonymus**
ისე შეხვედი ვირის „ობრაზში“ – აღარ გეთმობა, არა!??

**გუგა**
ვააჰ, შე სახელარო, შენ მო...იტ...ან პატრონი...

**გიორგი – მაგარი კლიპერი**
ეს კლიპები კარგი იქნება ბილბორდებზე, ქალაქში განთავსდეს, აგრეთვე, ბარებსა და რესტორნებშიც, რათა მტრებმა ჭამის და გართობის მადა დაკარგონ...

**დიდი მუხრანი**
ამ საწუთროში /ერთი არც კი როა ნაფაზი/
პატიოსნებას /ძვირფასს უწინ/ აქვს აწ რა ფასი?!
ამდენი როა თითლიბაზი და მატრაბაზი?!

**ჯონ ლინჩი**
რაც არ უნდა მოხდეს, ამ არსებას, ჩემი წესით გასამართლება არ ასცდება!

**Anonymus**
ნასრალიძე, არ ისვენებ ხო? ფუ შენი საზიზღარი დედა მოვტ...ან!

**Anonymus**
რას გავს ეს პატრონში...ული

შეკრიბა

**ნატა ნიბლაძემ**

## კითხული კაცის აზრი

**საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის სოფლის მეურნეობის განვითარება სამუშაო ადგილების სწრაფად და დიდი ოდენობით შექმნის ერთადერთი გზაა. მრეწველობის ის გიგანტები, რომლებიც ძველი ცხოვრებიდან დაგვრჩა, ჩვენი ქვეყნისთვის თავსმოხვეული საწარმოები იყო, რადგან მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია შიდა მოხმარებაზე იყო გათვლილი და ხარისხით ბევრად ჩამოუვარდებოდა მსოფლიო სტანდარტებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად ჩვენ არც ცოდნა და გამოცდილება გვქონდა, არც დრო და არც სახსრები. ამიტომაც შეგვრჩა ასიათასობით დაუსაქმებელი მუშახელი, სოფელი კი — გლეხისა და ინფრასტრუქტურის გარეშე.**

საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნა მძიმე ინდუსტრიის განვითარებით ვერ მოხერხდება, ჩვენ საამისოდ არც ნედლეული გვაქვს და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამუშაო ადგილები კი დღეს გვჭირდება, თანაც ასიათასობით.

ჩვენდა საუბედუროდ მიწის განაწილების დროს დაშვებულმა შეცდომებმა, ხელმოკლე გლეხობამ და ხელისუფალთა სოფლის მეურნეობისადმი უყურადღებობამ მრეწველობიდან გამოთავისუფლებულ ასიათასობით მუშახელს სოფლის მოსახლეობის ასიათასობით უმუშევარიც მიუმატა. შედეგად ამჟამად საქართველოში 15-16 პროცენტი კი არაა უმუშევარი, როგორც გვეუბნებიან, არამედ 70 პროცენტზე მეტი. **მე უმუშევრად ვთვლი ყველა გლეხს, რომელსაც დღე და ღამე აქვს გასწორებული შრომაში, თავის გამოსაკვები შემოსავალი კი ვერ მიუღია. საქართველოში თითქმის ყველა გლეხი ასეთია, განსაკუთრებით კახეთში. ამ საქმეში მათ დიდად „ეხმარებიან“ ბანკები და ხელისუფლება. ბანკები მათ კრედიტებს ყაჩაღური საპროცენტო განაკვეთით აძლევენ, ხელისუფლებამ კი კილოგრამ ყურძენზე 40 თეთრი დაუწესა...** თუ რუსეთის ბაზრის დაკარგვის გამო ქარხანა ღვინოს სარფიანად ველარ ყიდის და თანაც მას დიდი ოდენობით აწარმოებს, ბაზრის კანონით ღვინო უნდა გაიაფდეს და იაფად ნაყიდი ყურძნისაგან იაფიანი ღვინო უნდა გამოუშვან. ჩვენთან მაღაზიებში კი ღვინის ფასი 10 ლარიდან იწყება, ექსპორტზე კი 10-15 დოლარად გადის. 25-თეთრიანი რქაწითელიდან სამარკო ღვინოსთან ერთად საკონიაკე სპირტს ხდიან, რომელიც ექსპორტზე 6 დოლარად გადის. ე.ი. **ყველა პირობაა იმისთვის, რომ კილოგრამ ყურძენში გლეხს ერთი ლარი მაინც გადაუხადონ. ლარიანი ყურძენი კი კახელ გლეხს ოჯახის გამოსაკვებ შემოსავალსაც მისცემს და მთელი კახეთი დაუსაქმებელთა რიცხვს მოაკლდება. სამწუხაროდ, ეს არ მოხდება, რადგან ღვინის და სპირტის ბიზნესი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ინტერესების სფერო ყოფილა და ყურძენზე ყოველი თეთრის მომატება, ავტომატურად, მათი შემოსავლის დაკლებას ნიშნავს. გამოდის, რომ ეს ხელისუფლება ყურძენზე ფასს არასოდეს მოუმატებს.**

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღიდან სოფლის მეურნეობა ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების უპირველეს ამოცანად გამოაცხადა. მის დასაფინანსებლად კი მილიარდიანი, უპროცენტო გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფას დაგვპირდა. დაპირებებში მუდამ გულუხვი ხელისუფლება, მართალია, ოთხჯერ მეტს დაგვპირდა, მაგრამ უპროცენტო გრძელვადიანი კრედიტის პირობა კი არავის მოუცია.

სოფლის მეურნეობა, ფეხზე რომ დადგეს, გლეხკაცი დაგვისაქმოს და ქვეყანა გამოკვებოს, ამას მარტო გრძელვადიანი კრედიტი ვერ უშველის, თუნდაც უპროცენტო იყოს. **არის საქმე, რომელიც თავად ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, ხოლო არის ბევრი ისეთი რამ, რომელიც ხელისუფლების ხელშეწყობითა და თანადგომით უნდა გააკეთოს კერძო ბიზნესმა.**

ამჟამად მსოფლიოში სოფლის მეურნეობა ინდუსტრიულ რელსებზე დგას. პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია უახლესი ტექნოლოგიებით ხდება, რასაც სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები ასრულებენ. **ჩვენმა ხელისუფლებამ კი ის ინსტიტუტებიც დახურა, რომელთა აღზრდილებს კომბაინი მფრინავი თეფში მაინც არ ეგონათ, ხოლო მოზვერს „მამალ ძროხას“ არ ეძახდნენ.** ასეთი სპეციალისტების აღზრდა ხელისუფლების საქმეა და რაც შეიძლება სწრაფად უნდა განახლდეს ეს ყველაფერი. განადგურებულია სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა, რომლის აღდგენაში ხელისუფლებამ ლომის წილი უნდა გაიღოს. მეცნიერები დიდი ხანია, გვაფრთხილებენ, რომ მსოფლიო გლობალური დათბობა სულ უფრო მეტად იძლავრებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე მოურწყავად მოსავალს საერთოდ ვერ მივიღებთ, ამიტომაც აუცილებელია ქვეყნის მელიორაცია, და მისი მოწყობა ხელისუფლებამ უნდა იკისროს. მოსავალს სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობის გარეშე ვერასდროს შევინახავთ. ამიტომ აუცილებელია გადამამუშავებელი დარგის აღორძინება. მართალია, ეს კერძო ბიზნესის საქმეა, მაგრამ საწყის ეტაპზე ხელისუფლების მიერ წახალისების, იაფი გრძელვადიანი კრედიტის გარეშე ეს საქმე ვერ დაიწყება, ე. ი. ამ საქმესაც ხელისუფლებისგან წახალისება და თანადგომა სჭირდება. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, — სოფლის მეურნეობა კავით და თოხით წინ ვერ წავა, ამიტომ მისი სათანადო ტექნიკით აღჭურვა ხელისუფლების დაფინანსებით (იაფი და გრძელვადიანი კრედიტის სახით) უნდა მოხდეს. ასე რომ, სოფლის მეურნეობის გამართვას ერთი და ორი მილიარდი ლარი არ ეყოფა. ფულთან ერთად კი აუცილებელია ხელისუფლების სურვილი და ნება. რა თქმა უნდა, ამ ხელისუფლების ჩარევა საქმის ცოდნით უნდა მოხდეს, რათა ყველაფერი ამერიკული სიმინდივით არ დამთავრდეს.

ჩვენი გლეხის ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი მარტო ხელისუფლების უსულგულობაში არ უნდა ვეძიოთ, თუმცა ლომის წილი მასზე მოდის. **კომუნისტური რეჟიმის დროს ყველაფრის ზემოდან კარნახმა გლეხს თვითშემოქმედების უნარი დაუკარგა.** გასულ წლებში ბევრმა მათგანმა მოინდომა დამოუკიდებლად საკუთარი მეურნეობის გამართვა, მაგრამ უდიდესი ნაწილი გაკოტრდა. **დღეს გლეხს რაც შეუძლია, ეს მოსავლის მოყვანაა (სამწუხაროდ, კარგად არც ეს იცის), მაგრამ მისი გადამუშავება-რეალიზაციისაგან იგი უნდა გავათავისუფლოთ (რა თქმა უნდა, ვინც ამას ისურვებს). უნდა გავიგოთ, რომ ყველა გლეხიდან დამოუკიდებელი ფერმერი არ გამოვა** და ყველას არც აქვს ამის სურვილი, ამიტომ აუცილებელია, გვქონდეს გადამამუშავებელი მრეწველობა, გლეხს ხელი რომ დავუცალოთ და სათანადო გასამრჯელოც მივცეთ.

# კომბაინი მფრინავი თეფში არ არის, ხალხო!

**როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ხალხის დასაქმებისთვის**



საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი კულტურებით დავტვირთავთ ამა თუ იმ ნიადაგს. თუ ერთი ჰექტარი ვენახიდან 10-15 ტონა ყურძნის მიღება შეიძლება, რომლის ღირებულება 15 ათასი ლარია, ამავე ფართობზე 3-4 ტონა ხორბლის მოყვანა შეიძლება, რომლის ღირებულება ორი ათას ლარს უდრის. ამიტომ ჩვენი გლეხი მაღალშემოსავლიანი და ადვილად გასასაღებელი კულტურების მოყვანით უნდა დაკავდეს, ამ გზის მაჩვენებლად კი გლეხს ხელისუფლება უნდა მოევლინოს. **მართალია ამბობენ — ის ხელისუფლებაა კარგი, რომელიც წარმოებაში და ბიზნესში არ ერევაო, მაგრამ ის არავის უთქვამს მკვდარი ხელისუფლებაა კარგიო.**

წინამდებარე წერილის მიზანია, მკითხველს და ხელისუფლებას გავაცნო სოფლის მეურნეობის ის კულტურები, რომელთა მოყვანა მაღალ შემოსავალს მისცემს გლეხს, ხოლო მათი გადამუშავებით ათიათასობით სამუშაო ადგილიც შეიქმნება და მილიონებსაც მოიტანს ბიუჯეტში.

საქართველოში ყველაზე მეტ შაქარს 1980-85 წლებში მოიხმარდნენ — წელიწადში 220 ათას ტონას. ამჟამად მისი სიძვირის გამო მოხმარება ათას ტონის ფარგლებში მერყეობს და სამწუხაროდ ყველა ეს შაქარი შემოტანილია.

ცნობილია, რომ მსოფლიოს ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა აკლდება, ამიტომ შაქრის დეფიციტის შევსება ჭარხლის პლანტაციების ხარჯზე შეუძლებელია. ერთადერთი გამოსავალი მოსავლიანობის გაზრდა და შაქრის შემცველობის მომატებაა ჭარხალში, თუმცა, მსოფლიოს მეცნიერება ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებს, ერთი ამერიკელი მეცნიერი ამ პრობლემის გადაწყვეტას 2050 წლისთვის გვპირდება. საბედნიეროდ პრეპარატი, რომელიც ორივე ზემოთქმულ პრობლემას წყვეტს, დიდი ხანია, შექმნილია ქართველი მეცნიერების მიერ, მას ბიორაგი ეწოდება. მისი ავტორია პროფესორი რამაზ გახოკიძე — მე ამ პრეპარატით ბოლო ხუთი წელია, სოფელ კუმისში, ბევრ სხვა კულტურებთან ერთად, მომყავს შაქრის ჭარხალი და შედეგითაც დიდად კმაყოფილი ვარ.

სხვაგან კი არა აქვთ ისეთი პრეპარატი, რომელიც შაქრის შემცველობას ჭარხალში თუნდაც 2-3 პროცენტით გაზრდის, ამიტომ მსოფლიოში ერთი ჰექტარი პლანტაციიდან 6-7 ტონა შაქარს იღებენ, ჩვენ კი ბიორაგის დახმარებით 10 ტონაზე მეტის მიღება შეგვიძლია. ეს კი ნამდვილი გადატრიალება იქნება შაქრის წარმოებაში.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ უკვე აღმოჩენილი ნავთობი ჩვენს პლანეტას სამი ათეული წელი ეყოფა, მერე კი ის ალტერნატიულმა ბიოსაწვავმა უნდა ჩაანაცვლოს. ბიოსაწვავი დღესაც მილიონობით ტონა მოიხმარება. ბიოსაწვავის უპირველესი ნედლეულია შაქრის ჭარხალი, შაქრის სორგო და სიმინდი. სორგო გვალვაგამძლე მცენარეა, ამიტომ მისი კულტურა უსახსროდ დარჩენილ შირაქს დაგვისაქმებს. სორგოს სარეკორდო მოსავლის მიღება გურია-სამეგრელოში შეიძლება. ჩემს მიერ ბიორაგით მოყვანილ სორგოს შაქრიანობა 30 პროცენტით მეტი ჰქონდა დაუმუშავებელთან შედარებით. ამასთანავე სორგოს შეუძლია 5-6-ჯერ მეტი შემოსავალი მოგვცეს, ვიდრე სიმინდის კულტურამ, ე. ი. სორგო გურია-სამეგრელოს კიდეც დაასაქმებს და ღირსეულ შემოსავალსაც გაუჩენს მის მომყვანს.

ბიოსაწვავის წარმოების ბიზნესგეგმა დიდი ხანია, მზად აქვთ ქართველ მეცნიერებს. მის ასამოქმედებლად ხელისუფლების ნება და სურვილია საჭირო. **ნებაში მე ვგულისხმობ იმ ხელისუფალ ბიზნესმენთა მადის დაოკებას, რომლებიც საწვავის ბიზნესით არიან დაკავებული.** ჩვენ ნავთობი არ გაგვაჩნია, ამიტომ ბიოსაწვავის წარმოება ასიათასობით კაცსაც დაგვისაქმებს, ენერგოდამოკიდებულებისგანაც გაგვანთავისუფლებს და საწვავის იმპორტიორ ქვეყანას მის ექსპორტიორად გაგვხდის ე. ი. **მილიარდები, რომელიც დღეს ქვეყნიდან გაედინება, ისიც ადგილზე დარჩება და სხვა მილიარდების მოტანაც შეიძლება.** ვფიქრობ ჩვენი სოფლის მეურნეობა ზემოაღნიშნული მაღალშემოსავლიანი კულტურების მოყვანით უნდა დაკავდეს.

ყველა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ქვეყნისათვის და მისი მომავლისათვის, უფრო სასარგებლო იქნება, თუ დაპირებული მილიარდებიდან, რითაც სოფლის მეურნეობის დაფინანსებას გვპირდებიან, ღირსეული წილი ასეთი დიდი პერსპექტივის მქონე პროდუქტების დაფინანსებას მოხმარდება.

**ჟორა გაბრიჭიძე,**
ეკონომისტი

## ინფორმაცია

# ახმეტაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

**სტუდია GNS-ის გადამღებ ჯგუფსა და ყარმაზანაშვილ-ჭიჭიაშვილის დაპირისპირების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. შსს-ს ცნობით, 22 აგვისტოს, ახმეტის პოლიციის რაიონულ სამმართველოში რაიონის საავადმყოფოდან შევიდა შეტყობინება ორი პირის — ბაჩანა ბულისკერიას და ვასილ დაბრუნდაშვილის ფიზიკური დაზიანების შესახებ. ამავდროულად, პოლიციას საჩივრით მიმართეს ახმეტის რაიონის მცხოვრებმა ზაურ ყარმაზანაშვილმა და ოსიკო ჭიჭიაშვილმა.**

**— ყარმაზანაშვილის და ჭიჭიაშვილის განცხადებით, სტუდია GNS-ის ჟურნალისტი ვასილ დაბრუნდაშვილი და ოპერატორი ბაჩანა ბულისკერია მათ კუთვნილ ტერიტორიაზე უნებართვოდ შეიჭრნენ. მათი თხოვნის მიუხედავად, გადამღებმა ჯგუფმა ტერიტორია არ დატოვა, რასაც შელაპარაკება და ჩხუბი მოჰყვა. სამედიცინო დათვალიერების შემდეგ პოლიციას ასევე მიმართა სტუდიის გადამღებმა ჯგუფმა და მათ განაცხადეს რომ ფიზიკური დაზიანებები ზაურ ყარმაზანაშვილმა და ოსიკო ჭიჭიაშვილმა მიაყენეს. სტუდია GNS-ის გადამღებ ჯგუფსა და ყარმაზანაშვილი-ჭიჭიაშვილის დაპირისპირების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქმესთან დაკავშირებით ახალი დეტალები საზოგადოებას დამატებითი ეცნობება, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.**

**ახმეტაში, სტუდია GNS-ის გადამღები ჯგუფი წუხელ ერთ-ერთი საწარმოს გადაღებისას სცემეს, სადაც მათი ინფორმაციით, უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ინახებოდა.**

**— საწარმოდან გამოვიდა მეპატრონე და ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენა. სასტიკად ნაცემია ჩემი ოპერატორი. განადგურებულია ტექნიკა, თუმცა კასეტის გადარჩენა მოვახერხეთ, — აღნიშნა ჟურნალისტმა ვასილ დაბრუნდაშვილმა.**

ინტერპრესი

კალათბურთი

# ბოსნია უკვე წარსულია, წინ ლატვიაა

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრები სარაევოდან თბილისში ოთხშაბათს, 14 საათზე ჩარტერული რეისით დაბრუნდა. აეროპორტის ფოიეში მოთამაშეები ათიოდე წუთით შეყოვნდნენ და ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს. შემდეგ გუნდის წევრთა უმეტესობა სახლებში გაემგზავრა, დანარჩენი — „ქორთიარდ მარიოტში“, სადაც გუშინ დილით „ჯვაროსნები“ სრული შემადგენლობით შეიკრიბნენ და ლატვიის ნაკრებთან დღევანდელი ბრძოლისთვის მზადებას შეუდგნენ. გუშინვე, საღამოს, 19 საათსა და 45 წუთზე, სპორტის სასახლეში ღია ვარჯიში გაიმართა, სადაც იგორ კოკოშკოვის შეგირდები 19 საათზე ლატვიელებს უმასპინძლებენ.**

EuroBasket SLOVENIA 2013



ყველაზე საინტერესო ბოსნიური მატჩის კოკოშკოვისეული შეფასება იყო, მაგრამ სერბი სპეციალისტი ავტობუსამდე ისე მალულად მივიდა, ერთი კომენტარიც არ მიუცია. ისღა დაგვრჩენოდა, შეხვედრის შეჯამება მისი რომელიმე ასისტენტისთვის გვეთხოვა.

„თავიდანვე ითქვა, რომ ბოსნია ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. ვიცოდით, უმძიმესი ბრძოლა გველოდა, ამიტომ თამაში მაქსიმალურად მობილიზებულად დავიწყეთ და გვარიანად დავწინაურდით კიდეც. რაც შეეხება 20-ქულიანი უპირატესობის დაკარგვას, სუფთა საკალათბურთო მომენტი იყო. საოცარი გულშემატკივრობით შეგულიანებულმა ბოსნიელებმა თამაშის მოკლე მონაკვეთი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს, სასწაული ბურთები ჩაგვიგდეს და დაგვეწიენ კიდეც. არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ, რომ მოვდუნდით, ან საქმე მომთავრებულად ჩავთვალეთ და დავისაჯეთ. უბრალოდ, მოწინააღმდეგემ შეუძლებელი შეძლო. საბედნიეროდ, ბოლომდე ვიბრძოლეთ და საწადელს მაინც მივაღწიეთ, — გვითხრა **კოტე ტუღუშმა**.

ნაკრების კაპიტანი **ზაზა ფაჩულია** ტრავმის შემდეგ სწორედ სარაევოს მატჩში დაუბრუნდა მოედანს.

„მიხარია, რომ უმნიშვნელოვანეს მატჩში მონაწილეობა მივიღე. თავიდანვე წაგვივიდა თამაში და ჩვენი დიდი უპირატესობა ანგარიშშიც აისახა, მაგრამ მაშინვე მზად ვიყავით ბოსნიელთა გამოცოცხლებისთვის. ვიცოდით, რომ მათ ჩამორჩენის აღმოფხვრა შეეძლოთ. ასეც მოხდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენ გავიხარეთ. დღეს საქართველოს ძალიან კარგი ნაკრები ჰყავს და ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდის ნაწილი ვარ“, — განაცხადა ფაჩულიამ.

მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით კომენტარი **ვიქტორ სანიკიძემ** გააკეთა:

„სარაევოში მოპოვებული გამარჯვება უკვე დავივიწყეთ. ახლა მთელი კონცენტრაცია დღევანდელ მატჩზე უნდა მოვახდინოთ. ლატვია ძლიერი გუნდია, მას ადრეც შევხვედრივართ და ვიცით, რომ საკმაოდ კარგ კალათბურთს თამაშობს. არ უნდა მოვდუნდეთ, თორემ შეიძლება დავისაჯოთ“.

**თორნიკე შენგელია:** „პირველივე მეოთხედში უდიდეს უპირატესობას დავეუფლეთ, მაგრამ ისეთი კარგი მოთამაშეები ჰყავდა ჩვენს მოწინააღმდეგე გუნდს, რომ თამაშს დაძაბულობა ერთი წუთითაც არ მოჰკლებია. ბოლომდე ვიბრძოლეთ და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. უკვე შემდეგ მეტოქეზე ვფიქრობთ. ლატვიის წინააღმდეგ კიდევ უფრო უკეთესად უნდა ვითამაშოთ და გულშემატკივრებს სიამოვნება მივანიჭოთ“.

**მანუჩარ მარკოიშვილი:** „ბოსნიური გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია სულ რაღაც საათნახევარს გაგრძელდა. ძალიან საჭირო ქულები მივითვალეთ, მაგრამ ჯერ მაინც მთელი შესარჩევი ციკლი წინაა. ბოლომდე მობილიზებულად უნდა ვითამაშოთ. ახლა მთელი მონდომებით დღევანდელი შეხვედრისთვის ვემზადებით“.

დავძენთ, რომ ბალტიისპირელთა თავკაცი აინარს ბაგატსკისი კარგად იცნობს თანამედროვე ქართულ კალათბურთს — ის ხომ შარშან „სოხუმს“ ავარჯიშებდა.

საინტერესოა, როგორ გამოიყენებს ეს ემოციური მწვრთნელი აქაურ გამოცდილებას.

**გიორგი შოთაძე**

პური ჩვენი არსობისა

# ფქვილის ბაზრის გახსნა და ჯანსაღი კონკურენცია ყველაფერს სასიკეთოდ შეცვლის!

## რამდენჯერ შეიძლება ხაბაზების უსაფუძვლოდ შეურაცხყოფა?

**ფქვილზე ფასების ხშირ ცვლას ყველაზე მტკივნეულად მოსახლეობა განიცდის, რადგან ხაბაზები იძულებული ხდებიან, შეცვალონ პროდუქციის გასაყიდი ფასები, არადა თუ ეს არ გააკეთეს და თითოეული თეთრი არ გაითვალისწინეს, შეიძლება თავი დაკარგონ — პროდუქციის თვითღირებულებაში ვერ ჩაეტიონ.**

ფასების ზრდა ბევრი კომპონენტით არის განპირობებული, მაგრამ ისინი არავის ახსენდება და ყველა რეაქცია და უარყოფითი ემოცია, რაც ფასის, თუნდაც, უმნიშვნელო მატებას მოსდევს, მცხობელზე ფოკუსირდება. არავის ახსენდება არც ხორბლის შემომტანი, არც მისი გადამმუშავებელი. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის გახლავთ, რომ ჟურნალისტები და სხვადასხვა ორგანიზაციების თავკაცებიც მხოლოდ ხაბაზებს სთხოვენ პასუხს, თითქოს მათი კაპრიზებით იცვლებოდეს ფასები, რაც რბილად რომ ვთქვათ, არასწორია, რადგანაც არც ფასსა და არც ხარისხში რამდენიმე წელია მცხობელს არაფერი დაუტოვეს (არაფერს ეკითხებიან).

თითქოსდა ადგილობრივი წისქვილების დასაქმების მიზნით საქართველოში შემოაქვთ მარტო ხორბალი (გვაქვს გონივრული ეჭვი მის ხარისხსა და ფასებში), ამუშავებენ და აწვდიან მცხობლებს.

ამ წერილის დაწერა სწორედ იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ პროცესები ძალიან ღრმად შევიდა და სრულიად დაუცველნი დავრჩით, თუნდაც, ისეთი რამისგან, როგორიც „კარტოფილის ჩხირია“.

იგი ხორბალს ნიადაგიდან მოსდევს და ფქვილსა და ცომში, შემდგომ კი პურში იჩენს თავს, განსაკუთრებით ზაფხულში. ის კარგად გრძნობს თავს ტენიან და ცხელ გარემოში და სადაც ილუპება, მჟავე გარემოა. თუმცა, მჟავე გარემოს შექმნა გარკვეულ პრობლემებს უჩენს ხაბაზებს, რადგან პროდუქციას ამით სასაქონლო სახე ეკარგება.

თუ ხორბალი დაფქვის წინ გაირეცხა, მაშინ გამორიცხულია ასეთი ჩხირის მოხვედრა ფქვილში, თუმცა, ჩვენი წისქვილები (ზოგიერთი) გაძვირებული წყლის ფასს (1 კუბ. მეტ. 4 ლარი და 20 თეთრი), რომელიც ხორბალს ბლომად სჭირდება, ალბათ, ერიდებიან. ხოლო ასეთი ფქვილის მოხმარება გარკვეულ რისკებს ბადებს და შედეგებიც ნათელია. თუმცა, პასუხისმგებლობაზე ბოდიში.

ამ რამდენიმე დღის წინათ სტრატეგიული კვლევის ცენტრი რადიოთი და ტელევიზიით ასახელებდა იმ საწარმოებს და მათ პროდუქციას, სადაც აღმოაჩინეს „კარტოფილის ჩხირი“. მათგან უფრო დიდი აღმოჩენა და სტრატეგიულობა იქნებოდა, რომ ჩაუღრმავდნენ პრობლემებს და ფქვილის ხარისხით დაინტერესდნენ, რადგან ხაბაზებს ის ასარჩევად არ აქვთ. მიმართონ ქვეყნის მამებს, გახსნან ფქვილის ბაზარი, განვითარდეს ჯანსაღი კონკურენცია და საბაზრო ეკონომიკა, როგორც მეწარმეებს, ისე მომხმარებლებს მიეცეთ საუკეთესო არჩევნის საშუალება — დაგვერწმუნეთ, თუ ასეთი რამ მოხდება ფქვილის



ფასებიც მოწესრიგდება და ფასთა ასეთი უსაშველო ზრდაც ფქვილის ფასზე გაქრება, რაც შეეხება „კარტოფილის ჩხირს“, ამის შემდგომ იგი არც გაგახსენდებათ, რადგან ხარისხიან, გარეცხილ და გადამუშავებულ ფქვილში მისი მოხვედრა თითქმის გამორიცხულია.

**გოგი ჯოხაძე,**
**დავით სოხაძე,**
**არჩილ რეხვიაშვილი,**
**ხაბაზები.**

ახალ ამპლუაში

# ტრანზიტი: მანჩესტერი - პეტერბურგი



**„მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელი შემტევი ნახევარმცველი ნანი, შესაძლოა, რუსულ „ზენიტში“ გადავიდეს. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება და ქართველთათვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურა გიორგი ქინქლაძე გახლავთ. აღნიშნულ ინფორმაციას Goal.com-ი ავრცელებს.**

სწორედ ქინქლაძის მეშვეობით დაწყებულა ნანისა და პეტერბურგელთა ხელმძღვანელობას შორის დიალოგი. საქართველოს ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი ვარსკვლავი, როგორც იცით, საფეხბურთო აგენტი გახლავთ და კარგი კავშირები აქვს როგორც ინგლისში, ასევე რუსეთის წამყვან კლუბებში.



ნანი ძალიან ახლოსაა „ზენიტში“ გადასვლასთან. ეს ინფორმაცია ნევისპირელთა იტალიელმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმაც დაადასტურა.

რჩეულნი

# ისინი თბილისში ჩამოვლენ

**ბელარუსის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კონდრატიევმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებსაც საქართველოსთან და საფრანგეთთან გასამართი უახლოესი გასვლითი შესარჩევი მატჩებისთვის მოამზადებს (7 და 11 სექტემბერი):**




**მეკარეები:** იური ჟევნოვი („ზენიტი“, რუსეთი), სერგეი ვერემკო („კრილია“, რუსეთი), ალექსანდრ გუტორი („ბატე“);

**მცველები:** დმიტრი ვერხოვცევი („კრილია“), ალექსანდრ მარტინოვიჩი („კრასნოდარი“, რუსეთი), იგორ შიტოვი („დინამო“ მოსკოვი, რუსეთი), მაქსიმ ბორდაჩევი, დენის პოლიაკოვი, არტიომ რადკოვი (ყველა — „ბატე“);

**ნახევარმცველები:** ანტონ პუტილო („ფრაიბურგი“, გერმანია), იან ტიგორევი („ლოკომოტივი“, რუსეთი), ვიტალი ტრუბილო, სტანისლავ დრაგუნი (ორივე — „დინამო“, მინსკი), პაველ ნეხაიჩიკი („დინამო“, მოსკოვი, რუსეთი), მაქსიმ ჟავნერჩიკი („ყუბანი“, რუსეთი), რენან ბრესანი, ალექსანდრ გლები, დმიტრი ბაგა (ყველა — „ბატე“), ალექსანდრ კულჩი („სიბირი“, რუსეთი), ანდრეი ხაჩატურიანი („შახტიორი“, სოლიგორსკი);

**თავდამსხმელები:** სერგეი კორნილენკო („კრილია სოვეტოვი“, რუსეთი), სერგეი ბალანოვიჩი („შახტიორი“), დმიტრი მოზოლევსკი, ვიტალი როდიონოვი (ორივე — „ბატე“).

**შეგახსენებთ, რომ საქართველო და ბელარუსი ეროვნული ნაკრებების დონეზე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს.**

# ფრაქცია „ბათუმისათვის“ სტატუსის აღდგენას ითხოვს

**ამასთან დაკავშირებით „რესპუბლიკელმა“ და ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ბათუმისათვის“ წევრმა ირაკლი ჩავლეიშვილმა გუშინ ბრიფინგი გამართა.**

„2011 წლის 30 დეკემბერს თვითმმართველი ქალაქის — ბათუმის საკრებულომ მიიღო სამარცხვინო გადაწყვეტილება, როდესაც ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიმდებარედ განსვენებული საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირების სახელის უკვდავყოფისა და პატივის მიგების ნიშნად აღნიშნულ ტერიტორიას მოუხსნა თავისუფლების მოედნის სტატუსი და მიანიჭა გმირთა სკვერის სტატუსი. გამომდინარე აქედან, ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა 2902 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საზოგადოების ზეწოლით, აღნიშნულ მოედანზე საბედნიეროდ აღარ შენდება სასტუმრო კომპლექსი.“

ფრაქცია „ბათუმისათვის“ ითხოვს აღნიშნული მიწის ქალაქის საკუთრებაში დაბრუნებას, გმირთა სკვერისთვის „თავისუფლების მოედნის“ სტატუსის დაბრუნებას და 1990 წელს ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული არქიტექტორის ნამუშევარის აღმართვას გმირთა საფლავზე.

**მეუღლე ოლღა უგრეხელიძე, შვილები ქეთევან, ეკატერინე ღოღობერიძეები, სიძეები ალექსანდრე ბატიაშვილი, მიხეილ ნინუა, შვილიშვილი გიორგი ბატიაშვილი, დები ლულუ, ეკატერინე, დისწულები, მეგობრები, მძახლები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი კაცი, ღვაწლმოსილი გეოლოგი**

**მიხეილ თენგიზის ძე ღოლობერიძე**

**პანაშვიდი 24, 25 VIII, 16 სთ. გამოსვენება 26 VIII, 15 სთ. მისამართი: გოგებაშვილის III შესახვევი, №20.**

## ⊙ სილამაზის ვიტრინა

# ლამაზმანები ლონდონში



1

**ლონდონის XXX ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე მშვენიერი მანდილოსნები ერთმანეთს არა მარტო თავიანთ სპორტულ დისციპლინებში ჯილდოებს, არამედ ძალიან პრესტიჟულ „მის ოლიმპიადას" ტიტულსაც ეცილებოდნენ. არავისთვისაა საიდუმლო, რომ გამარჯვებისთვის დაწესებული პრემიები სპორტსმენთა შემოსავლის საკმაოდ მცირე პროცენტს შეადგენს, ხოლო ლომის წილი სარეკლამო კონტრაქტებზე მოდის. აქ კი, მოგეხსენებათ, რომ სპორტულ ნიჭზე მეტად გარეგნობა ფასობს.**

ამ სრბოლის ჩემპიონია რუსეთელი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა,** რომლის რეკლამიდან შემოსავალი წელიწადში 20 მილიონ დოლარს ჭარბობს. მას მრავალი კონკურენტი ჰყავს პრიალა ჟურნალების ყდებზე, თუმცა კი, სპორტულ შეჯიბრებებზე ხშირად სტატისტების როლში გამოდიან. ამის საუცხოო მაგალითია პარაგვაელი შუბის მტყორცნელი **დურინ ფრანკო,** რომელიც, მართალია, პარაგვაის ჩემპიონი და რეკორდსმენია, მაგრამ თამაშებზე 42-ე ადგილი დაიკავა. დაახლოებით ასევე ავსტრალიელი **მელანი ადამსის** საქმე, მაგრამ სიმაღლის დასაპყრობად ის ჭოკით რომ მირბის, ამაზე უკეთეს სანახაობას ნაკლებად იხილავთ!



2

თუმცა არიან მეტად სექსუალური ლამაზმანებიც, რომლებიც შარაპოვას სპორტული მიღწევებითაც უსწრებენ. რუსეთელი სპორტსმენისთვის ლონდონის ოლიმპიადა პირველი იყო, ჰოლანდიის ბალახის ჰოკეის ნაკრების ვარსკვლავისთვის **ფატიმა მორეირასთვის** კი ეს მეოთხე სპორტული ფორუმი გახლდათ, თანაც მის კოლექციაში სამივე სინჯის ოლიმპიური მედალია დაცული! პეკინის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონია ავსტრალიელი მოცურავე **სტეფანი რაისი,** რომელიც თავის დროზე სარეკლამო ბაზრის უძლიერეს მოთამაშედ ითვლებოდა. მაგრამ, 2010 წელს თავქარიანმა ქალიშვილმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართული რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატში წაგებულ ავსტრალიის ნაკრების მოთამაშეების სექსუალური ორიენტაციის შესახებ სოციალურ ქსელში ტვიტერში ერთობ მოურიდებელი განცხადება გააკეთა... სწორედ ეს დაუფიქრებელი ნაბიჯი გახდა კომპანია „იაგუართან" მრავალმილიონიანი კონტრაქტის დარღვევის მიზეზი. ლამაზმანი, ცხადია, მართალი არ არის — ყველა ავსტრალიელი მორაგბე ასეთი ხომ არ არის?



3



4



5



6



9

ამასობაში ლონდონში ყველაფერი თავისი რიგით წავიდა, მოყვარულებმა ლამაზმანთა გამოსვლებს დიდი ყურადღებით უცქირეს: მაღალი სპორტული მიღწევები, მართალია, ზოგჯერ ვერ იხილეს, თუმცა კი, ესთეტური სიამოვნება ნამდვილად მიიღეს!



7



8



10

**1. ვიქტორია პენლტონი (დიდი ბრიტანეთი, ველომრბოლი) პეკინი — 2008-ის ჩემპიონი; 2. ფატიმა მორეირა (ბალახის ჰოკეი), ჰოლანდია, პეკინი — 2008-ის ჩემპიონი; 3. ანტონია მისურა (კალათბურთელი), ხორვატია, ოცნებობდა პირველ ექვსეულში მოხვედრას. 4. დურინ ფრანკო (შუბის ტყორცნა), პარაგვაი, წარმატებად ჩათვლიდა პირველ ოცეულში მოხვედრას; 5. სტეფანი რაისი (ცურვა), ავსტრალია, პეკინის-2008-ის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 6. ანა ივანოვიჩი (ჩოგბურთელი), სერბეთი, მსოფლიოს მე-12 ჩოგანი; 7. ფრანჩესკა პიჩინინი (ფრენბურთი), იტალია; 8. მარია შარაპოვა (ჩოგბურთი), რუსეთი, დიდი სლემის ორგზის გამარჯვებული; 9. მელანი ადამსი (ჭოკით ხტომა), ავსტრალია, ისინბაევას სიმაღლემდე დაახლოებით მეტრი აკლდება; 10. კიმ გლასი (ფრენბურთი), აშშ, პეკინი — 2008-ის ვერცხლის პრიზიორი.**

თამარ გოგიაშვილი

## ⊙ ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ქართული ოცნების" ჩასაძირად წამოიწყეს ეს ბინძური თამაში ნაციონალებმა!"

„ალიაში" სენაკელი ოპოზიციონერი ქალბატონი ინგა ქარდავა ასეთ რამეს ყვება: „მე მაქვს ერთ-ერთი სენაკელი პროვოკატორი ქალის რუსუდან კაპანაძის აღიარებითი წერილი. ეს არის სოციალურად დაუცველი ადამიანი. როგორც თავად ამბობს, მასთან მივიდა გამგეობის წარმომადგენელი და შეპირდა, ყველაფერი იქნება, ოღონდ უნდა ჩაშალო ოპოზიციის აქციები და იქ უნდა იკივლოო. ეს ქალი ყვება, რომ მათი დაკვეთით და დაპირებით მართლაც ჩაშალა ალასანიას ორივე აქცია, რაშიც 200 ლარი უნდა გადაეხადათ".

„ალია"

### სანახაობა პურის გარეშე

ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ პროდუქტებზე ფასის კიდევ უფრო მომატება წინასაარჩევნოდ ყელში დანის გამოსმის ტოლფასი იქნება, ამიტომ ფასები შეძლებისდაგვარად „უჭირავს". თუმცა, მსოფლიო ბირჟებზე ხორბალი მნიშვნელოვნად გაძვირდა და მისი ფასი ისტორიულ მაქსიმუმს მიუახლოვდა — 1 ტონა 340 დოლარი გახდა. ეს, შარშანდელთან შედარებით, 40-50 დოლარით მეტია. თუმცა, საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა გვამშვიდებს, ჩვენთან პურის ფასი, წესით, არ უნდა გაიზარდოსო. ვნახოთ!

„დღეს და ხვალ"

### „ოცნების" აქცია და „გადმოწეული" თბილისობა

„ქართული ოცნება" არჩევნების წინ შემაჯამებელ აქციას 29 სექტემბერს თბილისში გამართავს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს აქცია საარჩევნოდ გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება. ამ აქციის დაანონსების შემდეგ განცხადება თბილისის მერიამაც გააკეთა და არჩევნებიდან რამდენიმე დღეში თბილისობა დააანონსა, რაც ადრე ოქტომბრის ბოლო უქმეებზე ტარდებოდა ხოლმე. ამჯერად, ცხადია, თბილისობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დამზადებას 29 სექტემბრამდე დაიწყებენ და ამით „ქართულ ოცნებას" აქციის გამართვაში ხელს შეუშლიან.

„რეზონანსი"

### „სამეგრელოში სააკაშვილი საჩვენებელ რეპეტიციას აუცილებლად „ჩაატარებს"

— წინასწარმეტყველებს ირინა სარიშვილი, — სააკაშვილი თავის დამზღვევ მექანიზმად მაინც დაიტოვებს პროვოკაციას, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებითა და ძალისმიერი მეთოდებით უნდა გაგრძელდეს. ერთადერთი კითხვა შეიძლება გაჩნდეს იმის თაობაზე, თუ როგორ გეგმავს იგი ამის გაკეთებას — არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ. მე არ გამოვრიცხავ, რომ თუ მძლავრი არა, რაღაც ფორმის გენერალური რეპეტიცია მაინც შეიძლება სააკაშვილმა არჩევნებამდე ჩაატაროს. და შეიძლება ეს შეეხოს სამეგრელოში ბიძინა ივანიშვილის ვოიაჟებს.

„ახალი თაობა".

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ⊙ კადრი



## ⊙ ანეკდოტები

— როგორა ხარ? — ეკითხებიან მიხოს.
— ფანდურივითა.
— ეგ როგორა, კაცო?
— როგორა და, იმასაც სამი ლარი აქვს და მეც.

* * *

— მიხო, რომ მიგატოვო და უცხო კაცთან წავიდე, გული დაგწყდება? — ეკითხება მარო ქმარს.
— უცხო კაცის გულისთვის გული რატომ უნდა დამწყდეს?

* * *



— ჩემს ერთ კლიენტს ძალიან ეშინია სიბნელის, — ეუბნება ფსიქოლოგი კოლეგას, — მე შევეცადე დამერწმუნებინა, რომ საშიში არაფერია, მან საპირისპირო არგუმენტები მომიყვანა...
— მერე?
— ეჰ, ახლა მეც მეშინია სიბნელის.

* * *

— დათო სახლშია?
— ის ჩვენთან აღარ არის, სხვა სამყაროშია.
— აუჰ, ეგ რა მითხარი, მოკვდა?
— არა, ინტერნეტი შემოიყვანა.

* * *

— შენი მანქანა 100 კილომეტრზე რამდენს წვავს? — ეკითხება სვანი ძმაკაცს.
— 20 ლიტრს.
— ყოველდღე?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24